საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 2

ქ.თბილისი 03.02.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე, (შემდგომში თავმჯდომარე)
მაია მიქაშავიძე - ა(ა)იპ - მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი, (შემდგომში მდივანი);
მაგდა მაღრაძე - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსიტიტუტის (EPPM)მთავარი მკვლევარი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლაშა მარგიშვილი - განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ქეთი ცოტნიაშვილი - საერთაშორისო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები:
ანა ლელაძე;
თამარ აფრასიძე;
გიორგი მელიქაძე;
თამარ შენგელია.

აკრედიტაციის ექსპერტები:
თინათინ ჩხეიძე;
ირაკლი ვაჭარაძე;
ელიზბარ ელიზბარაშვილი;
თამარ ტუფინაშვილი;
კახაბერ თავზარაშვილი;
მარიამ დალაქიშვილი;
კონსტანტინე თოფურია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

თამარ ვეფხვაძე;
ნატალია ბარათელი;
თამარ აბედაშვილი;
მარიანა უნაფქოშვილი;
დალი ოსეფაშვილი;
მაია ადვაძე;
მანანა მელიქიშვილი.

სხდომა დაიწყო 15:15 სთ-ზე. მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 24 დეკემბრის №30 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიისა და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ოპერაციების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 და მე-3 საკითხებთან დაკავშირებით თვითაცილება განაცხადა.

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს წევრებს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა, რომელიც დღის წესრიგის მიხედვით მე-9 საკითხად იყო გათვალისწინებული, განხილულიყო მე-5 საკითხად. საწინააღმდეგო პოზიცია არ დაფიქსირებულა და საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

10. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 24 დეკემბრის №30 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიისა და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ოპერაციების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს მიმართა განცხადებით, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2014 წლის წლიური ანგარიშის წარდგენის დროს მინისტრის მოადგილემ, გიორგი შარვაშიძემ ერთ-ერთ მთავარ ასპექტად გამოკვეთა ექსპერტებისა და დაწესებულებების გარიგება ცენტრის გვერდის ავლით, დაწესებულების მიერ ექსპერტთა მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დაყენება. ცენტრი განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს აღნიშნულთან დაკავშირებით. მსგავსი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, ცენტრი უფლებას იტოვებს შეწყვიტოს ადმინისტრაციული წარმოება ან კონკრეტული ვიზიტი.

1.საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 24 დეკემბრის №30 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2014 წლის 24 დეკემბრის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით მიენიჭა შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. სხდომის ოქმში კი შეცდომით იყო მითითებული აკრედიტაციის მინიჭება მონიტორინგის პირობით სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის. საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაზუსტდა, რომ აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით მიენიჭა შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, მონიტორინგის ფარგლებში პროგრამა შემოწმდებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებში დაფიქსირებული რეკომენდაციების მიხედვით.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	გენდერის კვლევები
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი
სწავლების ენა:	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი:	0706
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის წევრმა ირაკლი ვაჭარაძემ და აღნიშნა, იმის გამო, რომ კავკასიაში გენდერის მიმართულებით ერთადერთი საგანმანათლებლო პროგრამა იყო, ხარისხი უნდა ყოფილიყო ძალიან მაღალი. ასევე გაახმოვანა შემუშავებული რეკომენდაციები და შენიშვნები:

- თუ პრაქტიკულ მუშაობაზე ხაზგასმა და მესამე მიზნად გამოტანა პროგრამისთვის მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევაში ჩვენი რეკომენდაცია იქნებოდა პროგრამის მესამე მიზანი განსაზღვრულიყო იმგვარად, რომ აქცენტი კეთდებოდეს ინტერდისციპლინარული პერსპექტივის სტუდენტებზე, რომლებიც თავიანთ შესაბამის სფეროში, პროგრამის დასრულების შემდეგ, ამ [გენდერის კვლევების] მიდგომის გამოყენებით იმუშავებდნენ.
- თუ სასწავლო პრაქტიკა იმგვარად იქნებოდა მოწყობილი, რომ სტუდენტს მიეცემოდა შესაძლებლობა პრაქტიკის ადგილი არა დროში გაწელილად, არამედ ერთ კონკრეტულ ვადაში, ინტენსიურად გამოეყენებინა როგორც თეორიული ანალიზის პრაქტიკაში გამოცდის ან ნასწავლი თეორიების კრიტიკული გამოყენების სივრცე. სტუდენტს ეს გამოადგებოდა გენდერის კვლევებისას პრაქტიკული მუშაობის გაანალიზებაში, მისცემდა შესაძლებლობას ჩამოეყალიბებინა შეხედულება თუ როგორი უნდა ან არ უნდა იყოს ის პროგრამები და პროექტები, რომლებიც საქართველოში ქალთა და ლგბტ ადამიანთა საკითხებზე მუშაობენ. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო სტაჟირების ადგილზე კვლევის ჩატარება, სააგენტოს რომელიმე კომპონენტის შეფასება, სააგენტოს პროგრამების გენდერული ანალიზი და ა.შ. რაც პრაქტიკის ხელმძღვანელთან და სააგენტოსთან შეთანხმებით იქნებოდა დაგეგმილი და განხორციელებული პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობაში. რადგან პროგრამის გაცხადებული მიზანია სტუდენტებში კვლევის უნარების განვითარება და ამავე პროგრამას მესამე მიზნის მიღწევაში დაეხმარება (რაც ამჟამად პროგრამის ყველაზე სუსტ ნაწილს წარმოადგენს).

- სასურველია გადაიხედოს კომპეტენციების ცხრილი, რადგან გასაუბრებით და ტექსტის ანალიზით რჩება შთაბეჭდილება, რომ ცხრილი და მათში მითითებული განსავითარებელი კომპეტენციები სათანადო განსჯისა და მსჯელობის გარეშე არის მიღებული. მაგალითად, ლექტორებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ისინი სხვა უნარებს უთითებდნენ, ვიდრე ეს მათი საგნების გასწვრივ სილაბუსებსა და ცხრილშია მითითებული. ეს ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი, რაც შესაძლოა დროის სიმცირის ფაქტორითაც ყოფილიყო განპირობებული.

  სასურველია, რომ დაინტერესებულ მხარეთა შორის მოხდეს პროგრამის მიზნების და მისაღწევი შედეგების შესახებ მეტი მსჯელობა, შეჯერდეს ერთიანი პოზიცია, ეს პროცესი იყოს სათანადოდ ოქმებით დოკუმენტირებული, რაც პროგრამის კიდევ უფრო მეტად დახვეწის წინაპირობა გახდება.
- ხელშეკრულებები არ არის წარმოდგენილი მოწვეულ ლექტორებთან, რაც წარმოადგენს ხარვეზს. პროგრამის დიდი ნაწილი დაფუძნებულია მოწვეული ლექტორების შრომაზე, რომლებიც ასწავლიან საგნებს რაშიც მათ კონკურენტი არ ყავთ. შესაბამისად, პროგრამის განხორციელება რისკის ქვეშ დგას, თუ უნივერსიტეტი ვერ წარმოადგენს სათანადო გარანტიებს, რომ მოწვეული ლექტორების მხრიდან ლექციების ჩატარებას საფრთხე არ შეექმნება.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გასაცნობად დაურიგა კორესპონდენცია და სთხოვა 15 წუთიანი სიტყვის უფლება. თავმჯდომარემ საბჭოზე დამსწრე საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე დაუთმო 5 წუთი.

უნივერსიტეტის წარმომადგენლების თქმით, მოწვეულ პერსონალთან ხელშეკრულებების არ არსებობა არ წარმოადგენდა პრობლემას, რადგან იგივე პერსონალი ჩართული იყო გენდერის კვლევების ქართულენოვან პროგრამაში და იმ პროგრამის ფარგლებში მათთან გაფორმებული იყო შესაბამისი ხელშეკრულებები და იმედი ჰქონდათ მათთან თანამშრომლობის. ასევე აღნიშნეს, რომ ქართულენოვან სადოქტორო პროგრამას ჰყავდა სამი კურსდამთავრებული და რომელიმე ჩაანაცვლებდა ერთ-ერთ მოწვეულთაგანს. თუ პროგრამის ამუშავებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრობლემა შეექმნებოდა, არ გამოცხადდებოდა სტუდენტების მიღება.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეს იყო ერთადერთი სამაგისტრო პროგრამა რომელიც სტაჟირებას სთავაზობდა სტუდენტებს. მესამე მიზანი გულისხმობდა დასაქმების შესაძლებლობების გახსნას და არა დაპირებას. სტაჟირებას ეთმობოდა 5 კრედიტი, რომლის პირობებშიც სტუდენტს ვერ მოსთხოვდნენ უფრო მეტი დროის დათმობას , რადგან მას კიდევ ჰქონდა კრედიტები დასაგროვებელი. პროგრამა მუშავდებოდა 2004 წლიდან სამი საერთაშორისო ექსპეტის მონაწილეობით და სილაბუსების გავლილი აქვთ peer review სხვადასხვა ევროპულ უნივერსიტეტში, მათ შორის, ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში. პროგრამის მიზნებისა და მისაღწევი შედეგების შესახებ განმარტა, რომ დასახული მიზნები აბსოლუტურად მიღწევადი იყო, მზადყოფნა გამოთქვა თითოეული სილაბუსის საჯარო განხილვასთან დაკავშირებით.

მოწვეულ პერსონალთან ხელშეკრულებების არარსებობაზე დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ვეფხვაძემ განმარტა, რომ გენდერის კვლევების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა დიდი წარმატებით ფუნქციონირებდა უნივერსიტეტში, აღნიშნული პროგრამა აკრედიტებული იყო. რადგანაც ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პროგრამები ანალოგიურია და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი ორივე პროგრამისთვის საერთო იყო ვერ ხედავდნენ საჭიროებას ინგლისურენოვანი პროგრამისათვის ცალკე გაეფორმებინათ ხელშეკრულებები პროგრამის ამოქმედებამდე.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა რატომ გადაწყდა ინგლისურენოვანი პროგრამის შექმნა და რა იყო მისი მიზანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გათვლა კეთდებოდა აზერბაიჯანელ, სომეხ სტუდენტებზე. ასევე, მისი თქმით, სკანდინავიიდანაც იყვნენ მსურველები, ვისთვისაც ეს რეგიონი იყო საინტერესო. პროგრამაში ჩართული სპეციელისტები, ძირითადად ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იყვნენ და მათთვის ცხადია, რომ აღნიშნული პროგრამა ვერ გაუწევდა კონკურენციას ცენტრალური ევროპული უნივერსიტეტის პროგრამას, თუმცა დარგის განვითარებისათვის წინ გადადგნული ნაბიჯი იქნებოდა. ამასთან, გენდერის შესწავლის კუთხით პოსტსაბჭოთა სივრცეში რეგიონის მიმართ არსებობდა ინტერესი.

საბჭოს წევრი, მაია მიქაშავიძე დაინტერესდა, როგორ აპირებდნენ ქართულენოვანი პროგრამის მიმართ ინტერესის შენარჩუნებას, როცა ლიტერატურას ძირითადად ინგლისურად ეცნობოდნენ ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებიც და შესაძლო იყო ქართულენოვან პროგრამას კონკურენცია ვერ გაეწია ინგლისურენოვანისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სტუდენტების გარკვეული რაოდენობა მაინც აირჩევდა ქართულენოვან პროგრამას, ენის საკმარისად არცოდნის გამო. პროგრამები და ლექტორებიც თითქმის ერთი და იგივე იყო. ქართულენოვანი პროგრამის არსებობა პოლიტიკურად მნიშვნელივანი იყო და ლიტერატურის თარგმნაც აუცილებელი იყო. მისი თქმით კონკურსი მაგისტრატურაზე იმდენად მაღალი იყო, რომ გასულ წელს ადგილების დამატება გახდა საჭირო. აღნიშნული პროგრამისთვის გათვალისწინებული იყო 10 ადგილი.

საბჭოს თავმჯდომარე კვლავ დაინტერესდა პროგრამის მდგრადობით, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტებში არსებობდა პრაქტიკა, პროგრამის ამუშავებამდე ლექტორებთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებისა, რომ პიროვნებას აქვს შესაძლებლობა და სურვილი პროგრამის განხორციელებაში მიიღოს მონაწილეობა მისი ამოქმედებისთანავე. რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ კომუნიკაცია არსებობდა მათ შორის, უნივერსიტეტთან თანამშრომლობდნენ ეს ადამიანები და რამოდენიმე მათგანი საბჭოსაც ესწრებოდა.

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფსიქოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0707
კრედიტების რაოდენობა:	180

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის წევრმა თინათინ ჩხეიძემ და აღნიშნა, რომ პროგრამა უაღრესად მნიშვნელოვანი და საჭირო იყო. ასევე, საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამაში მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი პროგრამის კვლევით და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის და ხაზი გაესვას, რომ პრაქტიკაზე ორიენტირებული საქმიანობა (სიტუაციის ანალიზი, ინტერვენციების დაგეგმვა და მათ დანერგვაში მონაწილეობა, მონიტორინგი და შეფასება) კვლევითი კომპონენტით მოპოვებულ მტკიცებულებაზეა დამყარებული. ეს მნიშვნელოვანია, რადგან პრაქტიკული საქმიანობის დამყარება კვლევით კომპონენტზე არის ის, რაც განსაზღვრავს მოცემული პროგრამის ღირებულებას და განასხვავებს სხვა პროგრამებისაგან.
- სასურველია, პროგრამაში სასწავლო და კვლევით კომპონენტში შემავალი კრედიტების რაოდენობა და გადანაწილება ტექნიკურად გაიმართოს და უფრო ნათლად და გასაგებად გაიწეროს.
- სასურველია, სილაბუსებში აღნიშნული შეფასების კრიტერიუმი დაზუსტდეს და შეფასდეს არა მხოლოდ დასწრება, არამედ ლექციაზე დასწრება და აქტიურობა ერთად.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამსახურისათვის. კერდიტების გადანაწილებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამისათვის არსებული სქემა სტანდარტული იყო და საფეხურის ადმინისტრირება აკადემიური საბჭოს მიერ ხდებოდა.

დოქტორანტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მინიმალური და მაქსიმალური კრედიტების ოდენობით შეექმნათ საკუთარი კურიკულუმი. მისი თქმით, სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტაციებით იქმნებოდა კრედიტების ჯამური რაოდენობის მოცულობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა კვლევით და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის კავშირთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე განმარტა, რომ სტუდენტები ჩართული იყვნენ რეალური კვლევების განხორციელებაში. აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნა თავად სტუდენტებსიგან იყო. თუმცა, მისი თქმით, კავშირი კვლევასა და პრაქტიკულ კომპონენტს შორის მხოლოდ უნივერსიტეტზე არ იყო დამოკიდებული, არამედ სახელმწიფო პოლიტიკაზე. ბოლო წლებში სოციალური პოლიტიკის შესწავლა აქტუალური იყო.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღება იყო დაგეგმილი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა მიუგო, რომ მოთხოვნა საკმაოდ მაღალი იყო, თუმცა რესურსიდან გამომდინარე 5-6 სტუდენტზე იყო გათვალისწინებული.

16:02 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 16:17 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ დატოვა საბჭოს სხდომა.

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიისა და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	05
კრედიტების რაოდენობა:	180

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ელიზბარ ელიზბარაშვილმა. მისი განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში და სილაბუსებში დაწესებულების მიერ განხორციელდა გარკვეული ცვლილებები . კერძოდ:

- პროგრამის მიზანში უფრო ვრცლად და კონკრეტულად გაიწერა კურსდამთავრებულის კომპეტენციები;
- სილაბუსში „სპექტრული ანალიზი“ დაემატა თანაავტორი ალექსანდრე სხირტლაძე და დაკონკრეტდა მეცხრე და მეათე სალექციო თემების შესაბამისი ლაბორატორიული სამუშაოები ადგილობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- სილაბუსში „ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებათა ქიმია“ დაკონკრეტდა „სწავლის უნარის“ კომპეტენცია, სილაბუსს დაემატა პროგრამის ხელმძღვანელისა და თანაავტორის ეთერ ქემერტელიძის ხელმოწერა, სავალდებულო ლიტერატურაში მე-3 ნომრით მითითებულ ლიტერატურაში დაკონკრეტდა დამოსაყენებელი გვერდები;
- სილაბუსში „ანალიზის თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდები და სამკურნალო საშუალებათა ექსპერტიზა“ ცვლილებები შევიდა დამხმარე ლიტერატურის ნუსხაში. ამოღებულ იქნა მე-4, 7,8,9,11 ნომრებით მითითებული სახელმძღვანელოები, როლო დანარჩენები მოთითებული იქნა სტანდარტის მოხედვით. ძირითად ლიტერატურაში დაკონკრეტდა მეორე სახელმძღვანელოში გამოსაყენებელი თავები;

- სილაბუსში „ბიოორგანული ქიმია“ მეშვიდე სასწავლო კვირაში დაკონკრეტდა ლაბორატორიული სამუშაოს თემა. ძირითად ლიტერატურას დაემატა 2011 გამოცემული ქართულენოვანი სახელმძღვანელო.

ექსპერტის თქმით, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს აქვს საკმაოდ მჭიდრო კავშირი და ხშირი საქმიანი-სამეცნიერო ურთიერთობა საზღვარგარეთის სხვადასხვა სამეცნიერო ჯგუფთან და მეცნიერებთან, რაც ცხადია ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. თუმცა სასურველი იქნებოდა, რომ ამ სამეცნიერო დაწესებულებებთან უნივერსიტეტების დონეზეც ყოფილიყო გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები;
- სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი ძალისხმევა ჩადოს სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების ხელშესაწყობად, ვინაიდან ამით ხელს შეუწყობს როგორც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიცირებული სპეციალისტის ჩამოყალიბებას, ისე აღნიშნულ პროგრამაზე დოქტორანტთა მოზიდვასაც;
- სასურველია, უნივერსიტეტმა პერმანენტულად განაახლოს და შეავსოს სამეცნიერო-ლაბორატორიული ბაზია , რათა მომავალში დამოუკიდებლადაც განახორციელოს სამეცნიერო კვლევების დიდი ნაწილის ჩატარება;
- სასურველია, ძირითად სასწავლო კურსებში ლაბორატორიულ მეცადინეობებს დაეთმოთ უფრო მეტი დრო, რაც ხანგრძლივი ექსპერიმენტების (ლაბორატორიული სამუშაოების) ჩატარების შესაძლებლობას შექმნის.

საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი კამკამიძე დაინტერესდა, საკმარისი იყო თუ არა სტუდენტებისათვის ის ბაზა, რასაც მათ დაწესებულება სთავაზობდა კვლევითი ექსპერიმენტების ჩასატარებლად.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა კარგად აღჭურვილი ლაბორატორია კვლევების ჩასატარებლად. ამასთან, გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმები, სხვადასხვა დაწესებულებასთან, მათ ლაბორატორიებსა და საწარმოებში კვლევების ჩატარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიისა და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა არ წარმოადგენდა საქართველოში მოთხოვნად სპეციალობას და მიუხედავად იმისა, რომ მცირე კონტიგენტზე იყო გათვლილი, მნიშვნელოვანი იყო მისი განვითარება. საქართველოში დიდი ბუნებრივი რესურსი იყო, სამკურნალო მედიკამენდების საწარმოებლად. მისი განმარტებით, რთულ და ძვირადღირებულ პროცედურებთან იყო დაკავშირებული, სამკურნალო პრეპარატების შექმნა, სადაც უმნიშვნელოვანესი იყო კვალიფიციური სპეციალისტების ჩართვა. მისი თქმით, ფარმაცევტული ფაკულტეტები მრავლად იყო, მაგრამ მათი კურსდამთავრებულები მზად იყვნენ აფთიაქებში საქმიანობისათვის და არა სამკურნალო მედიკამენტების შექმნისა და წარმოებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ კურსდამთავრებულთა გადამზადება მოხდებოდა საზღვარგარეთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი კამკამიძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ დაწესებულების სტუდენტებს ექნებოდათ უცხეოთის საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან ერთობლივი კვლევების ჩატარების შესაძლებლობა.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, თანამშრომლობდა თუ არა დაწესებულება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც უახლოეს მომავალში მოხდებოდა თანამედროვე ლაბორატორიის გახსნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მემორანდუმის ფარგლებში მოხდებოდა თსუ-სთან თანამშრომლობა, მათ სტუდენტებს ექნებოდათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ ლაბორატორიის ხელსაწყოები თავიანითი კვლევების ჩასატარებლად.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, თუ სად საქმდებოდნენ დაწესებულების კურსდამთავრებულები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი კურსდამთავრებულების ნაწილი დასაქმებული იყო შპს იბერია ფარმა გრუპში, შპს ზედაზენში, ხოლო ნაწილმა მათგანმა სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა დოქტორანტურაში.

5. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ბიზნეს სამართალი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნეს სამართლის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0603
კრედიტების რაოდენობა:	136

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლაშა მარგიშვილმა. მისი თქმით, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაცია:

- სასწავლებელს უნდა მიეცეს რეკომენდაცია სტუდენტის ცოდნის შეფასებისას თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვროს გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უფრო ნათელ წარმოდგენას შეუქმნის სტუდენტს მიღწეული შედეგებისა თუ ნაკლოვანებების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის და აღნიშნა, რომ ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის შექმნა ეფუძნებოდა კვლევის შედეგებს, რომელიც ადასტურებდა, რომ საგანმანათლებლო სივრცეში მოთხოვნა იყო პროფესიულ პრაქტიკაზე ორიენტირებული სამაგისტრო პროგრამის. მისი განმარტებით, პროგრამა აგებული იყო ბიზნეს სამართლის იურისტის საჭიროებებზე და განკუთვნილი იყო იმ ადამიანებისათვის, რომლებიც გეგმავდნენ ადვოკატისა და იურისტის კარიერას ბიზნეს სამართლის მიმართულებით. ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამა ოთხ მოდულად იყოფოდა: ბიზნეს ტრანზაქციების სამართალი; ბიზნესის ორგანიზაციის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და დაბეგვრის სამართალი; პროფესიული და პრაქტიკული განათლება; ბიზნესტრანზაქციების პრაქტიკუმი. აღნიშნული პროგრამის სიახლეს წარმოადგენდა ბიზნეს გარიგებების (deals) პრაქტიკული კურსი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდებოდა ბიზნესტრანზაქციების სიმულაციები. სამაგისტო პროგრამა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლისა და სამართლის სკოლის აკადემიური გუნდის მიერ ერთობლივად მომზადდა. ბიზნესის სკოლის პროფესორებმა იურისტებისათვის ფინანსური აღრიცხვისა და საგადასახადო ანგარიშგების სპეციალური კურსი შეიმუშავეს.

აგრეთვე, პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ წამყვანი საერთაშორისო და ადგილობრივი კომპანიების პარტნიორები, რომლებიც ასევე გაუძღვებიან ბიზნესტრანზაქციების პრაქტიკუმს.

საბჭოს წევრი, თამუნა ზარანდია დაინტერესდა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული სამუშაო გამოცდილება, გულისხმობდა ზოგადად სამუშაო გამოცდილებას თუ სპეციალობით მუშაობის გამოცდილებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ ჩანაწერში იგულისხმებოდა, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული და ეწერა ზოგადად სამუშაო გამოცდილება.

საბწოს წევრებმა აღნიშნეს, რომ უნდა დაზუსტებულიყო ეს საკითხი სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

6. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიოლოგიის მაგისტრი ქიმიის მაგისტრი ფიზიკის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0504 0503 0502
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის წევრებმა თამარ ტუფინაშვილმა და კახაბერ თავზარაშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ ვიზიტის დროს ადგილზე გასწორდა რიგი საკითხებისა, შეიცვალა შეფასების სისტემა საქართველოს 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციები ინგლისურ ენაზე შემდეგნაირად იყო მითითებული:
  ბიოლოგიის მაგისტრი - Master of Science in Biology;
  ქიმიის მაგისტრი - Master of Science in Chemistry;
  ფიზიკის მაგისტრი - Master of Science in Physics
  ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ შეიტანა ცვლილება და მისანიჭებელი კვალიფიკაციები ინგლისურ ენაზე ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:
  ბიოლოგიის მაგისტრი - Master of Biology;
  ქიმიის მაგისტრი - Master of Chemistry;
  ფიზიკის მაგისტრი - Master of Physics.
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად მითითებული იყო ინგლისური ენის ფლობა B1 დონეზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ შეიტანა ცვლილება და მიღების

წინაპირობებში მიუთითა ინგლისური ენის ფლობის B2 დონე. აღნიშნული ცვლილება გამოწვეული იყო სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურის სიჭარბით.

- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ქიმიის სპეციალობის სასწავლო კურსებში მითითებული შეფასების სისტემა ითვალისწინებდა სემესტრის განმავლობაში მხოლოდ სასემინარო ნაშრომების (10 სასემინარო ნაშრომი, თითოეულის შეფასება მაქს.10 ქულა) შესრულებასა და შეფასებას. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ შეიტანა ცვლილება ქიმიის სპეციალობის სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში და შესაბამისობაში მოიყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას ინიციატივით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორი პროგრამები ერთად განხილულიყო, რაზეც მხარეები დაეთანხმნენ.

7. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო პროგრამა
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიოლოგიის დოქტორი ქიმიის დოქტორი ფიზიკის დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0504 0503 0502
კრედიტების რაოდენობა:	180

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის წევრმა კახაბერ თავზარაშვილმა და გაახმოვანა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- პროგრამის სასწავლო კომპონენტში სასურველია დაემატოს არჩევითი მოდული პროფესორის ასისტენტობა.
- აკადემიური წერა დოქტორანტურისათვის და კვლევის მეთოდები განისაზღვროს არჩევითი და არა როგორც სავალდებულო კურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულებაის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი სურვილი იყო ისეთი პროგრამის შექმნა რომელიც სტუდენტს კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების საშუალებას მისცემდა. ერთობლივი პროგრამა იმიტომ გაკეთდა, რომ რესურსი იქნებოდა უფრო დიდი და ამ ორი უნივერსიტეტის ბაზა უნიკალურ ცოდნას მისცემდა სტუდენტებს. მან აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების სურვილი გამოთქვა. თუმცა, მისი თქმით კვლევის მეთოდები და კვლევა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. აღნიშნულ შემთხვევაში გათვლა კეთდებოდა მათზე ვისაც ინტერდისციპლინური კვლევის ჩატარება სურდა.

საბჭოს წევრების აზრით არაორდინალური პროგრამა იყო. ორი პროგრამის ნაცვლად რეალურად ექვსი პროგრამა გამოდიოდა. სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში მისაღები იყო, თუმცა სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში გაუგებარი იყო რატომ გადაწყდა ერთი პროგრამის სახით წარმოდგენა და არა სამი. ასევე დაინტერესდნენ რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ახალი არ იყო ამგვარი პროგრამების არსებობა და უნივერსიტეტს უკვე ჰქონდა მსგავსი სტრუქტურის აკრედიტებული პროგრამები, რაც სამართლებრივად გამართლებული იყო. ამასთან, მთელ მსოფლიოში აქტუალურია ინტერდისციპლინარული კვლევები.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა კვალიფიკაციის მინიჭება რის მიხედვით მოხდებოდა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტი თავიდან ირჩევდა კონცენტრაციას და თუ მაინც ვერ ჩამოყალიბდებოდა ერთ რომელიმე კონცენტრაციაზე, სამაგისტრო ნაშრომის რა მიმართულებითაც დაწერდა იმის მიხედვით მიენიჭებოდა კვალიფიკაცია.

თამარ ზარანდიაა აზრით, კარგი იქნებოდა თუ მიღების წინაპირობები იქნებოდა დაკონკრეტებული. რაზეც დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ.

8. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	07
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის წევრმა მარიამ დალაქიშვილმა და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებული იქნა. თუმცა პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით, კიდევ ერთი რეკომენდაცია წარმოადგინა:

- პროგრამის სასწავლო კომპონენტში სასურველია გაიზარდოს საგნების არჩევითობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აღნიშნული კურიკულუმის მოდელი მსგავსი იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის კურიკულუმისა. არჩევითი საგნების სიმწირე გამოწვეული იყო თემატურად შეზღუდულობის გამო, პროგრამაში იყო რვა არჩევითი, პრობლემაზე ორიენტირებული, საგანი, . თუმცა ექსპერტის რეკომენდაცია მათთვის მისაღები იყო.

საბჭოს წევრმა, მაგდა მაღრაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის კურსდამთავრებული უფრო მეტად ანთროპოლოგიის მიმართულებით იქნებოდა სპეციალიზებული. რეალურად, რა იქნებოდა მისი დასაქმების სფერო.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, კურსდამთავრებულთა დასქმების არეალი საკმაოდ ფართო იყო- არასამთავრობო ორგანიზაციები, ეროვნული ბიბლიოთეკა, აკადემიური სფერო, სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე, საერთაშორისო პოლიტიკის ექსპერტი .

9. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ოპერაციების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ოპერაციების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები წარადგინა ჯგუფის წევრმა კონსტანტინე თოფურიამ :

- ამჟამად პროგრამა შედგება მხოლოდ სავალდებულო კომპონენტებისგან. სასურველია დაემატოს არჩევითი კომპინენტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა ავტორიზებულ რეჟიმში უკვე მეექვსე ნაკადს იღებდა. არჩევითი საგნები არ იყო, რადგან პროგრამა დაკვეთით ხორციელდებოდა.

საბჭოს წევრი მაგდა მაღრაძე დაინტერესდა სწავლება დღის რა მონაკვეთში მიმდინარეობდა და რამდენი სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე ბოლოს. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლება დღის მეორე ნახევარში და ასევე შაბათს დღეს მიმდინარეობდა. ბოლოს პროგრამაზე ჩაირიცხა 35 სტუდენტი. სწავლის საფასური შეადგენდა (ორი წელი) 4700 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

18:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 18:13 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის მეორე ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიისა და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
  ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალა ერთი წლის განმავლობაში პროგრამაზე მიღების წინაპირობების დაზუსტების შემოწმება.
- შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივ სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 3; წინააღმდეგი - 2);

ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალა ერთი წლის განმავლობაში პროგრამის მრავალფეროვნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისობის შემოწმება.

- შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ოპერაციების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 18:30 საათზე სხდომა დასრულდა.

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე